

შპს „შვიდი მითი“

**2021 წლის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება**

შპს „შვიდი მითი“ (კონსოლიდირებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართული ლარი	მენიშვნა	<u>31.12.2021</u>	<u>31.12.2020</u>
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		1 078 893	701 315
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		7 298 763	7 049 804
გადახდილი ავანსები		359 587	362 132
მარაგები	3.1.	4 099 086	3 754 854
სხვა მიმდინარე აქტივები		11 978	18 471
გაცემული მოკლევადიანი სესხები	3.2.	5 632	21 632
სულ მოკლევადიანი აქტივები		12 853 939	11 908 209
ძირითადი საშუალებები	3.3.	3 618 500	4 142 716
არამატერიალური აქტივები	3.3.	5 943	6 975
სულ აქტივები		16 478 382	16 057 900
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	3.4.	2 309 208	2 817 920
საგადასახადო ვალდებულებები		57 252	72 301
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		21 862	22 130
სასესხო ვალდებულებები	3.5.	5 732 628	6 672 994
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		8 120 950	9 585 345
საწესდებო კაპიტალი		100	100
გაუნაწილებელი მოგება		8 357 333	6 472 455
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		16 478 382	16 057 900

დირექტორი

რამაზ ანდლულაძე _____

შპს „შვიდი მითი“ (კონსოლიდირებული)

საქმიანობის შედეგები

ქართული ლარი	შენიშვნა	2021	2020 წ.
განგრძობითი ოპერაციები:			
ამონაგები	3.6.	19 132 352	15 573 554
რეალიზებული მარაგების თვითღირებულება	3.6.	(14 843 919)	(11 522 073)
საერთო მოგება		4 288 433	4 051 481
მიწოდების ხარჯები	3.7.	(38 842)	(222 381)
დასაქმებულთა ანაზღაურება	3.7.	(1 680 896)	(1 466 257)
ცვეთა და ამორტიზაცია		(552 783)	(553 983)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	3.7.	(324 904)	(261 972)
საპროცენტო შემოსავალი		313 766	545 960
საპროცენტო ხარჯი		(719 132)	(902 307)
საოპერაციო (ზარალი)/მოგება		1 285 643	1 190 541
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება		-	(109 599)
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან		747 246	(1 140 254)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	3.8.	74 717	195 781
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	3.9.	(10 963)	(14 559)
(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგრამდე		2 096 642	121 911
მოგების გადასახადის ხარჯი		(31 765)	(633)
წლის (ზარალი)/მოგება		2 064 878	121 278
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული (ზარალი)/მოგება		2 064 878	121 278

დირექტორი

რამაზ ანდლულაძე _____

შპს „შვიდი მითი“ (კონსოლიდირებული)

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	100	6 451 177	6 451 277
მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	121 278	121 278
განაწილებული დივიდენდი	-	(100 000)	(100 000)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	100	6 472 455	6 472 555
მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	2 064 878	2 064 878
განაწილებული დივიდენდი	-	(180 000)	(180 000)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	100	8 357 333	8 357 433

დირექტორი

რამაზ ანდლულაძე _____

შპს „შვიდი მითი“ (კონსოლიდირებული)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	2021 წ.	2020 წ.
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისგან მიღებული ფულადი სახსრები	22 317 212	17 052 043
გადახდილი გასამრჯელოები	(1 295 135)	(1 157 505)
გადახდილი სავაჭრო და სხვა ამგვარი ვალდებულებები	(15 754 237)	(12 483 088)
გადახდილი გადასახადები	(3 789 114)	(3 109 129)
სხვა ნეტო ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(500)	(10 908)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	1 478 225	291 413
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისას	(27 535)	-
მიღებული პროცენტები	95 182	143 784
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	67 647	143 784
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
სესხის მიღება	10 484 132	7 346 751
მიღებული სესხის გადახდა	(11 015 958)	(7 032 286)
სესხის გაცემა	(406 460)	(779 000)
გაცემული სესხის დაბრუნება	479 680	763 000
გაცემული დივიდენდები	(171 000)	(95 000)
გადახდილი პროცენტები	(500 434)	(496 557)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	(1 130 041)	(293 092)
წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა) წლის განმავლობაში	415 831	142 105
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისისთვის	701 315	544 036
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულადი სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(38 253)	15 174
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოსთვის	1 078 893	701 315

დირექტორი

რამაზ ანდლულაძე _____

**2021 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები**

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „შვიდი მითი“ (შემდგომში – კომპანია ან ჯგუფი) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია 2009 წლის 23 თებერვალს თბილისის საგადასახადო ინჰექციის მიერ, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 205273595, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ლ. გოთუას ქ. N10-12. კომპანია დარეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორები არის საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი:

რამაზ ანდლულაძე (01010000271) - 100%;

1.3. კომპანიის დირექტორია რამაზ ანდლულაძე.

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა კვების პროდუქტების წარმოებისათვის საჭირო ინგრედიენტების ან/და დამხმარე მასალების (მ.შ. ტარა მასალების) იმპორტი და რეალიზაცია. შვილობილი საწარმოს ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ქონების იჯარით გადაცემა.

1.5. 2021 წლის მდგომარეობით, ჯგუფის დაქირავებულ თანამშრომელთა რიცხოვნობა შეადგენდა 39 კაცს.

1.6. ჯგუფის საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, ჯგუფის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, ჯგუფი წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, ჯგუფს არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში ჯგუფი შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, ჯგუფის 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე ჩათვლით). 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. ჯგუფის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

ჯგუფის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის შექმნა, ან დებიტორული დავალიანების უფრო ადრე აღიარება საექვო მოთხოვნად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო

განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ჯგუფის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური

იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს ჯგუფისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების, ასევე შვილობილ საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის (გარდა სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამისა), რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). ჯგუფის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები ჯგუფის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები.

2017-2021 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის ჯგუფის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი; 1 EUR=4.0233 ლარი.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი; 1 EUR=3.5040 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი 2021 წელს შეადგენდა:

1 USD=3.2209 ლარი; 1 EUR=3.8140 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. მარაგები:

ჯგუფის მარაგები შემდეგი შემადგენლობისაა:

ლარი	31.12.2021	31.12.2020
შემდგომი გაყიდვის მიზნით შეძენილი საქონელი	3 126 603	3 294 713
მზა პროდუქცია	151 527	114 155
ნედლეული და მასალები	818 066	342 308
სხვა მარაგები	2 891	3 679
სულ მარაგები	4 099 086	3 754 854

3.2. გაცემული სესხები:

ლარი	31.12.2021	31.12.2020
გაცემული მოკლევადიანი სესხები	-	16 000
გაცემულ მოკლევადიან სესხებზე დარიცხული პროცენტები	5 632	5 632
სულ ფინანსური აქტივები	5 632	21 632

3.3. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები:

ლარი	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და მოწყობილობები	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	არამატერიალური აქტივები	სულ
ისტორიული ღირებულება							
ისტორიული ღირებულების ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	295 034	3 461 277	1 761 785	169 420	132 818	13 089	5 833 422
შესყიდვები	-	-	20 238	7 297	-	-	27 535
გასვლები	-	-	-	(350)	-	-	(350)
ისტორიული ღირებულების ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	295 034	3 461 277	1 782 023	176 367	132 818	13 089	5 860 607
ცვეთა							
ცვეთის ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(717 527)	(743 171)	(129 298)	(87 621)	(6 114)	(1 683 731)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(173 064)	(346 854)	(17 449)	(14 384)	(1 032)	(552 783)
გასვლები	-	-	-	350	-	-	350
ცვეთის ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(890 591)	(1 090 025)	(146 397)	(102 005)	(7 146)	(2 236 164)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2020 წლის 31 დეკემბრის	295 034	2 743 750	1 018 614	40 122	45 196	6 975	4 149 691
2021 წლის 31 დეკემბრის	295 034	2 570 686	691 998	29 970	30 812	5 943	3 624 443

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

3.4. სავაჭრო ვალდებულებები

ლარი	31.12.2021	31.12.2020
სავაჭრო ვალდებულებები ეროვნულ ვალუტაში	99 400	205 843
სავაჭრო ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში	2 209 808	2 612 077
სულ სავაჭრო ვალდებულებები	2 309 208	2 817 920

3.5. მიღებული სესხები:

ჯგუფის სასესხო ვალდებულებები როგორც 31.12.2020 წ., ასევე 31.12.2021 წ. მდგომარეობით, მთლიანად შედგებოდა „პროკრედიტ ბანკიდან“ აღებული სესხებისაგან.

ლარი	31.12.2021	31.12.2020
მიღებული მოკლევადიანი სესხები	3 669 156	5 080 155
მიღებული გრძელვადიანი სესხები	2 063 472	1 592 838
სულ მიღებული სესხები	5 732 628	6 672 994

3.6. ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

ლარი	2021 წ.	2020 წ.
ამონაგები საქონლის გაყიდვიდან	18 908 088	15 396 434
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	224 265	177 120
გაყიდვების თვითღირებულება	(14 843 919)	(11 522 073)
სულ ამონაგები და რეალიზებული საქონლის ღირებულება	4 288 433	4 051 481

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით.

3.7. საანგარიშგებო პერიოდის საოპერაციო ხარჯები:

2020 და 2021 წლებში მიწოდების, საერთო-ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები შედგებოდა:

ლარი	2021 წ.	2020 წ.
მიწოდებასთან დაკავშირებული ოპერაციები	38 842	6 831
დამხმარე მატერიალების და მიწოდების სხვა პირდაპირი ხარჯი	-	215 550
ხელფასი	1 662 089	1 449 819
სავალდებულო საპენსიო შენატანი	18 807	16 437
მივლინების ხარჯი	37 029	7 070
საოფისე ხარჯი	8 203	5 513
კომუნალური ხარჯი	64 163	38 906
კომუნიკაციის ხარჯი	11 908	12 889
კომპიუტერის ხარჯი	5 356	3 293
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურება	30 695	34 404
დაცვის ხარჯი	-	1 081
დაზღვევა	14 646	13 550
საგადასახადო ხარჯი	48 016	48 571
საბანკო ხარჯი	56 218	43 153
მიმდინარე ექსპლუატაციის ხარჯი	5 268	10 334
წარმომადგენლობითი ხარჯი	14 971	18 713
რემონტის ხარჯი	13 870	12 153
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	14 561	12 344
სულ მიწოდების და საერთო-ადმინისტრაციული ხარჯები	2 044 642	1 950 610

3.8. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

ლარი	2021 წ.	2020 წ.
ვალდებულების ჩამოწერა ან/და გაუფასურება	32 437	126 262
ნეტო შემოსავალი გრძელვადიანი აქტივების გასვლიდან	-	31 365
ინვენტარიზაციის შედეგები	26 711	36 262
სხვა შემოსავალი	15 569	1 893
სულ სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	74 717	195 781

3.9. სხვა არასაოპერაციო ხარჯი

ლარი	2021 წ.	2020 წ.
გადახდილი ჯარიმები და საურავები	10 924	2 349
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	40	12 210
სულ სხვა არასაოპერაციო ხარჯი	10 963	14 559

3.10. საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

2021 წელს ჯგუფის პარტნიორმა გადაწყვიტა გასულ მიღებული მოგების ნაწილობრივი განაწილების შესახებ 180 000 ლარის ოდენობით. შესაბამისად, 2021 წელს ჯგუფს წარმოეშვა მოგების გადასახადის ხარჯი, რამაც ჯამში 31 765 ლარი შეადგინა.

3.11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაქვეყნებლად ნებადართულია ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 30 სექტემბერს.

3.12. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2022 წელს მსოფლიო მასშტაბით პანდემიით გამოწვეული სირთულეები კვლავ აქტუალურია, თუმცა შექმნილი სიტუაციის მიუხედავად, ჯგუფს არსებითი ფინანსური სირთულეები არ შექმნია.

2022 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრამდე პერიოდში, ჯგუფის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

შპს „შვიდი მითი“

2021 წლის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება


შპს „შვიდი მითი“ (კონსოლიდირებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	<u>31.12.2021</u>	<u>31.12.2020</u>
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		1 078 893	701 315
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		7 298 763	7 049 804
გადახდილი ავანსები		359 587	362 132
მარაგები	3.1.	4 099 086	3 754 854
სხვა მიმდინარე აქტივები		11 978	18 471
გაცემული მოკლევადიანი სესხები	3.2.	5 632	21 632
სულ მოკლევადიანი აქტივები		12 853 939	11 908 209
ძირითადი საშუალებები	3.3.	3 618 500	4 142 716
არამატერიალური აქტივები	3.3.	5 943	6 975
სულ აქტივები		16 478 382	16 057 900
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	3.4.	2 309 208	2 817 920
საგადასახადო ვალდებულებები		57 252	72 301
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		21 862	22 130
სასესხო ვალდებულებები	3.5.	5 732 628	6 672 994
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		8 120 950	9 585 345
საწესდებო კაპიტალი		100	100
გაუნაწილებელი მოგება		8 357 333	6 472 455
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		16 478 382	16 057 900

რამაზ ანდლულაძე

დირექტორი



შპს „შვიდი მითი“ (კონსოლიდირებული)

საქმიანობის შედეგები

ქართული ლარი	შენიშვნა	2021	2020 წ.
განგრძობითი ოპერაციები:			
ამონაგები	3.6.	19 132 352	15 573 554
რეალიზებული მარაგების თვითღირებულება	3.6.	(14 843 919)	(11 522 073)
საერთო მოგება		4 288 433	4 051 481
მიწოდების ხარჯები	3.7.	(38 842)	(222 381)
დასაქმებულთა ანაზღაურება	3.7.	(1 680 896)	(1 466 257)
ცვეთა და ამორტიზაცია		(552 783)	(553 983)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	3.7.	(324 904)	(261 972)
საპროცენტო შემოსავალი		313 766	545 960
საპროცენტო ხარჯი		(719 132)	(902 307)
საოპერაციო (ზარალი)/მოგება		1 285 643	1 190 541
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება		-	(109 599)
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან		747 246	(1 140 254)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	3.8.	74 717	195 781
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	3.9.	(10 963)	(14 559)
(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		2 096 642	121 911
მოგების გადასახადის ხარჯი		(31 765)	(633)
წლის (ზარალი)/მოგება		2 064 878	121 278
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული (ზარალი)/მოგება		2 064 878	121 278

რამაზ ანდლულაძე

დირექტორი



შპს „შვიდი მითი“ (კონსოლიდირებული)

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	100	6 451 177	6 451 277
მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	121 278	121 278
განაწილებული დივიდენდი	-	(100 000)	(100 000)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	100	6 472 455	6 472 555
მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	2 064 878	2 064 878
განაწილებული დივიდენდი	-	(180 000)	(180 000)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	100	8 357 333	8 357 433

დირექტორი
რამაზ ანდლულაძე 

შპს „შვიდი მითი“ (კონსოლიდირებული)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	2021 წ.	2020 წ.
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისგან მიღებული ფულადი სახსრები	22 317 212	17 052 043
გადახდილი გასამრჯელოები	(1 295 135)	(1 157 505)
გადახდილი სავაჭრო და სხვა ამგვარი ვალდებულებები	(15 754 237)	(12 483 088)
გადახდილი გადასახადები	(3 789 114)	(3 109 129)
სხვა ნეტო ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(500)	(10 908)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	1 478 225	291 413
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისას	(27 535)	-
მიღებული პროცენტები	95 182	143 784
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	67 647	143 784
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
სესხის მიღება	10 484 132	7 346 751
მიღებული სესხის გადახდა	(11 015 958)	(7 032 286)
სესხის გაცემა	(406 460)	(779 000)
გაცემული სესხის დაბრუნება	479 680	763 000
გაცემული დივიდენდები	(171 000)	(95 000)
გადახდილი პროცენტები	(500 434)	(496 557)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	(1 130 041)	(293 092)
წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა) წლის განმავლობაში	415 831	142 105
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისისთვის	701 315	544 036
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულადი სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(38 253)	15 174
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოსთვის	1 078 893	701 315

რამაზ ანდლულაძე  დირექტორი

**2021 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები**

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „შვიდი მითი“ (შემდგომში – კომპანია ან ჯგუფი) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია 2009 წლის 23 თებერვალს თბილისის საგადასახადო ინჰექციის მიერ, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 205273595, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ლ. გოთუას ქ. N10-12. კომპანია დარეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორები არის საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი:

რამაზ ანდლულაძე (01010000271) - 100%;

1.3. კომპანიის დირექტორია რამაზ ანდლულაძე.

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა კვების პროდუქტების წარმოებისათვის საჭირო ინგრედიენტების ან/და დამხმარე მასალების (მ.შ. ტარა მასალების) იმპორტი და რეალიზაცია. შვილობილი საწარმოს ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ქონების იჯარით გადაცემა.

1.5. 2021 წლის მდგომარეობით, ჯგუფის დაქირავებულ თანამშრომელთა რიცხოვნობა შეადგენდა 39 კაცს.

1.6. ჯგუფის საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, ჯგუფის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, ჯგუფი წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, ჯგუფს არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში ჯგუფი შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, ჯგუფის 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე ჩათვლით). 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. ჯგუფის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

ჯგუფის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის შექმნა, ან დებიტორული დავალიანების უფრო ადრე აღიარება საექვო მოთხოვნად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო

განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ჯგუფის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური

იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს ჯგუფისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების, ასევე შვილობილ საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის (გარდა სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამისა), რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). ჯგუფის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები ჯგუფის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები.

2017-2021 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის ჯგუფის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი; 1 EUR=4.0233 ლარი.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი; 1 EUR=3.5040 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი 2021 წელს შეადგენდა:

1 USD=3.2209 ლარი; 1 EUR=3.8140 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. მარაგები:

ჯგუფის მარაგები შემდეგი შემადგენლობისაა:

ლარი	31.12.2021	31.12.2020
შემდგომი გაყიდვის მიზნით შეძენილი საქონელი	3 126 603	3 294 713
მზა პროდუქცია	151 527	114 155
ნედლეული და მასალები	818 066	342 308
სხვა მარაგები	2 891	3 679
სულ მარაგები	4 099 086	3 754 854

3.2. გაცემული სესხები:

ლარი	31.12.2021	31.12.2020
გაცემული მოკლევადიანი სესხები	-	16 000
გაცემულ მოკლევადიან სესხებზე დარიცხული პროცენტები	5 632	5 632
სულ ფინანსური აქტივები	5 632	21 632

3.3. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები:

ლარი	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და მოწყობილობები	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	არამატერიალური აქტივები	სულ
ისტორიული ღირებულება							
ისტორიული ღირებულების ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	295 034	3 461 277	1 761 785	169 420	132 818	13 089	5 833 422
შესყიდვები	-	-	20 238	7 297	-	-	27 535
გასვლები	-	-	-	(350)	-	-	(350)
ისტორიული ღირებულების ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	295 034	3 461 277	1 782 023	176 367	132 818	13 089	5 860 607
ცვეთა							
ცვეთის ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(717 527)	(743 171)	(129 298)	(87 621)	(6 114)	(1 683 731)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(173 064)	(346 854)	(17 449)	(14 384)	(1 032)	(552 783)
გასვლები	-	-	-	350	-	-	350
ცვეთის ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(890 591)	(1 090 025)	(146 397)	(102 005)	(7 146)	(2 236 164)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2020 წლის 31 დეკემბრის	295 034	2 743 750	1 018 614	40 122	45 196	6 975	4 149 691
2021 წლის 31 დეკემბრის	295 034	2 570 686	691 998	29 970	30 812	5 943	3 624 443

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

3.4. სავაჭრო ვალდებულებები

ლარი	31.12.2021	31.12.2020
სავაჭრო ვალდებულებები ეროვნულ ვალუტაში	99 400	205 843
სავაჭრო ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში	2 209 808	2 612 077
სულ სავაჭრო ვალდებულებები	2 309 208	2 817 920

3.5. მიღებული სესხები:

ჯგუფის სასესხო ვალდებულებები როგორც 31.12.2020 წ., ასევე 31.12.2021 წ. მდგომარეობით, მთლიანად შედგებოდა „პროკრედიტ ბანკიდან“ აღებული სესხებისაგან.

ლარი	31.12.2021	31.12.2020
მიღებული მოკლევადიანი სესხები	3 669 156	5 080 155
მიღებული გრძელვადიანი სესხები	2 063 472	1 592 838
სულ მიღებული სესხები	5 732 628	6 672 994

3.6. ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

ლარი	2021 წ.	2020 წ.
ამონაგები საქონლის გაყიდვიდან	18 908 088	15 396 434
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	224 265	177 120
გაყიდვების თვითღირებულება	(14 843 919)	(11 522 073)
სულ ამონაგები და რეალიზებული საქონლის ღირებულება	4 288 433	4 051 481

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით.

3.7. საანგარიშგებო პერიოდის საოპერაციო ხარჯები:

2020 და 2021 წლებში მიწოდების, საერთო-ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები შედგებოდა:

ლარი	2021 წ.	2020 წ.
მიწოდებასთან დაკავშირებული ოპერაციები	38 842	6 831
დამხმარე მატერიალების და მიწოდების სხვა პირდაპირი ხარჯი	-	215 550
ხელფასი	1 662 089	1 449 819
სავალდებულო საპენსიო შენატანი	18 807	16 437
მივლინების ხარჯი	37 029	7 070
საოფისე ხარჯი	8 203	5 513
კომუნალური ხარჯი	64 163	38 906
კომუნიკაციის ხარჯი	11 908	12 889
კომპიუტერის ხარჯი	5 356	3 293
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურება	30 695	34 404
დაცვის ხარჯი	-	1 081
დაზღვევა	14 646	13 550
საგადასახადო ხარჯი	48 016	48 571
საბანკო ხარჯი	56 218	43 153
მიმდინარე ექსპლუატაციის ხარჯი	5 268	10 334
წარმომადგენლობითი ხარჯი	14 971	18 713
რემონტის ხარჯი	13 870	12 153
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	14 561	12 344
სულ მიწოდების და საერთო-ადმინისტრაციული ხარჯები	2 044 642	1 950 610

3.8. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

ლარი	2021 წ.	2020 წ.
ვალდებულების ჩამოწერა ან/და გაუფასურება	32 437	126 262
ნეტო შემოსავალი გრძელვადიანი აქტივების გასვლიდან	-	31 365
ინვენტარიზაციის შედეგები	26 711	36 262
სხვა შემოსავალი	15 569	1 893
სულ სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	74 717	195 781

3.9. სხვა არასაოპერაციო ხარჯი

ლარი	2021 წ.	2020 წ.
გადახდილი ჯარიმები და საურავები	10 924	2 349
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	40	12 210
სულ სხვა არასაოპერაციო ხარჯი	10 963	14 559

3.10. საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

2021 წელს ჯგუფის პარტნიორმა გადაწყვიტა გასულ მიღებული მოგების ნაწილობრივი განაწილების შესახებ 180 000 ლარის ოდენობით. შესაბამისად, 2021 წელს ჯგუფს წარმოეშვა მოგების გადასახადის ხარჯი, რამაც ჯამში 31 765 ლარი შეადგინა.

3.11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაქვეყნებლად ნებადართულია ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 30 სექტემბერს.

3.12. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2022 წელს მსოფლიო მასშტაბით პანდემიით გამოწვეული სირთულეები კვლავ აქტუალურია, თუმცა შექმნილი სიტუაციის მიუხედავად, ჯგუფს არსებითი ფინანსური სირთულეები არ შექმნია.

2022 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრამდე პერიოდში, ჯგუფის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.